კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის დასახელება	**კონკურსანტი მასწავლებლის სახელი, გვარი, პოზიცია**
სსიპ ქალაქ ზუგდიდის N9 სკოლა	არჩილ თოდუა

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
აღწერეთ, რატომ გსურთ სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს? • რა შეუწყობს ხელს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აქტიურად გამოიყენონ „ფინედუს“ კუთხის მასალები?	ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა, მიუხედავად თავისი მწირი რესურსებია, მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ სამოქალაქო განათლების სწავლებას, რომლის ფარგლებშიც ისწავლება ფინანსური საკითხები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრის ჩამოყალიბების აუცილებელი კომპონენტი. სწორედ ამიტომ, დამატებითი ფინანსური ლიტერატურის ქონა ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას. „ფინედუს“ კუთხის შექმნა მნიშვნელოვანია, რადგან: • **სამოქალაქო კომპეტენციების განვითარება:** ფინანსური განათლება სამოქალაქო განათლების განუყოფელი ნაწილია. „ფინედუს“ კუთხე უზრუნველყოფს დამატებით რესურსებს ამ საკითხების სიღრმისეულად შესასწავლად, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარებას. • **პასუხისმგებლიანი მოქალაქეების აღზრდა:** ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია აღვზარდოთ პასუხისმგებლიანი მოქალაქეები, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ გადასახადის გადამხდელის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე სახელმწიფოში. მათ ესმით, რომ გადახდილი გადასახადები ქმნის საჯარო სიკეთეს და უზრუნველყოფს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ამიტომ მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების გამჭვირვალე და ეფექტური მართვა. „ფინედუს“ მასალები დაეხმარება მოსწავლეებს ამ ღირებულებების გათავისებაში. • **სასწავლო პროცესის გაძლიერება:** ხელმისაწვდომი და საინტერესო ფინანსური რესურსები მასწავლებლებს მისცემს საშუალებას, გახადონ გაკვეთილები უფრო ინტერაქტიული და

	პრაქტიკული, მოახდინონ თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება. „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს შემდეგნაირად წაადგება: • **ცნობიერი მოქალაქეების ფორმირება:** ის ხელს შეუწყობს მოქალაქეების აღზრდას, რომლებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული საჯარო ფინანსების მართვის პრინციპები და მნიშვნელობა, რაც აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის. • **ანტიკორუფციული ცნობიერების ამაღლება:** სწორი ფინანსური განათლების მიღება ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს უკეთ გააცნობიერონ კორუფციის საფრთხეები და საჯარო ფინანსების არამართლზომიერი ხარჯვის უარყოფითი შედეგები საზოგადოებაზე. ისინი გახდებიან უფრო სენსიტიურები ამ საკითხების მიმართ და მოითხოვენ საჯარო რესურსების ეფექტურ და გამჭვირვალე განკარგვას. • **კრიტიკული აზროვნების განვითარება:** ფინანსური საკითხების შესწავლა ხელს უწყობს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, რაც მოსწავლეებს დაეხმარებათ ადეკვატურად შეაფასონ სხვადასხვა ფინანსური ინფორმაცია და თავიდან აიცილონ არასწორი გადაწყვეტილებები. „ფინედუს“ კუთხის მასალების ეფექტური გამოყენებისთვის განვახროციელებთ შემდეგ აქტივობებს: • **საგნობრივი ინტეგრირება:** სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე რეგულარულად გამოყენებული იქნება „ფინედუს“ მასალები, ასევე მოხდება სხვა საგნებთან (მაგ., მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია) ინტეგრირების შესაძლებლობების ძიება. • **ინტერაქტიული მეთოდები:** გაკვეთილებსა და ბიბლიოთეკაში მოეწყობა დისკუსიები, დებატები, როლური თამაშები, ქეისების ანალიზი და სხვა ინტერაქტიული აქტივობები, რომლებიც დაფუძნებული იქნება „ფინედუს“ რესურსებზე. • **პროექტული სწავლება:** მოსწავლეები შეასრულებენ პროექტებს ფინანსური განათლების სხვადასხვა თემაზე, სადაც „ფინედუს“ მასალები იქნება ძირითადი საინფორმაციო წყარო. • **საინფორმაციო მხარდაჭერა:** ბიბლიოთეკაში გამოიფინება საინფორმაციო ბანერები და პლაკატები „ფინედუს“ კუთხის შესახებ, ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებისა და მშობლებისთვის.

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

პროექტის /აქტივობის დეტალები	**ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დააინიცირებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2025 წლის 20 დეკემბრამდე.** • შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია და სხვ. • განგრძობით პროექტებში ინიცირება გულისხმობს პირველი აქტივობის ჩატარებას.
პროექტის შესაძლო სახელწოდება	„აქტიური მოქალაქე და ფინანსური პასუხისმგებლობა“
მიზნობრივი სეგმენტი *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)*	VII-XI კლასის მოსწავლეები (სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში) პარტნიორი სკოლების მოსწავლეები (ჩვენს სკოლას აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილება რეგიონის სხვა სკოლების ჩართულობით. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში შევარჩევთ ორ პარტნიორ სკოლას და თითოეული აქტივობა ჯერ განხორციელდება უშალოდ ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის, ხოლო შემდგომ სკოლის “სამოქალაქო განათლების კლუბის” ჩართულობით მიღებულ ცოდნას და სიაახლეებს გავიზიარებთ პარტნიორი სკოლების მოსწავლეებს, რომელთაც ჩვენსავე სკოლაში ვუმასპინძლებთ.
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	საკლასო ოთახები, სკოლის ბიბლიოთეკა, “სამოქალაქო განათლების კლუბის“ ოთახი („ფინედუს“ კუთხე), პროექტი გაგრძელდება ერთი სემესტრის განმავლობაში (დაახლოებით 14 სასწავლო კვირა), ჩატარდება წელიწადში ერთხელ.
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	პროექტი განხორციელდება სამოქალაქო განათლების მასწავლებლის მიერ, თუმცა პროექტის ფარგლებში იგეგმება მოწვეული სტუმრების (მაგ., ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, ეკონომისტი) ჩართვა საჯარო ფინანსების მართვისა და გადასახადების საკითხებზე სასაუბროდ. ასევე, მოსწავლეები იმუშავებენ ჯგუფურად.
პროექტის/აქტივობის აღწერა *(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი განგრძობითია თუ ერთჯერადი)*	პროექტი „აქტიური მოქალაქე და ფინანსური პასუხისმგებლობა“ მიზნად ისახავს მოსწავლეებში გააღრმავოს ცოდნა ფინანსური საკითხების, საჯარო ფინანსების მართვისა და გადასახადების როლის შესახებ დემოკრატიულ საზოგადოებაში. პროექტი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: • **ეტაპი 1: შესავალი (2 კვირა).** მოსწავლეები პირველ კვირას გაეცნობიან ფინანსური განათლების ძირითად ცნებებს „ფინედუს“ მასალების გამოყენებით. მოხდება დისკუსია იმის შესახებ, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ფინანსური წიგნიერება თანამედროვე მოქალაქისთვის. მეორე კვირას ვუმასპინძლებთ პარტნიორი სკოლის მოსწავლებს გავუზიარებთ ახალ ცოდნას და გამოცდილებას.

	• **ეტაპი 2: გადასახადები - საზოგადოებრივი კეთილდღეობის საწყისი (4 კვირა).** ამ ეტაპზე (ორი კვირა) მოსწავლეები შეისწავლიან, თუ რა არის გადასახადები, რა ტიპის გადასახადები არსებობს, როგორ ნაწილდება და იხარჯება საჯარო ბიუჯეტი. მოხდება „ფინედუს“ სახელმძღვანელოების, ასევე სხვა შესაბამისი რესურსების გამოყენება. ჩატარდება დებატები თემაზე „რა არის გადასახადების სამართლიანი სისტემა?“. მეორე ორი კვირას კი პერიოდულად ვუმასპინძლებთ პარტნიორი სკოლის მოსწავლეს გავუზიარებთ ახალ ცოდნას და გამოცდილებას. • **ეტაპი 3: საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება (4 კვირა).** მომდევნო ორი კვირის განმავლობაში მოსწავლეები შეისწავლიან საჯარო ფინანსების მართვის პრინციპებს, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობას. მოხდება კონკრეტული ქეისების განხილვა საჯარო სახსრების არარაციონალური ხარჯვის მაგალითებზე. მოწვეული იქნება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ან ექსპერტი ამ საკითხებზე სასაუბროდ. მეორე ორი კვირას კი პერიოდულად ვუმასპინძლებთ პარტნიორი სკოლის მოსწავლეს გავუზიარებთ ახალ ცოდნას და გამოცდილებას. • **ეტაპი 4: ფინანსური განათლება და დემოკრატიული საზოგადოება (2 კვირა).** მოსწავლეები იმუშავებენ ჯგუფურად და მოამზადებენ პრეზენტაციებს თემაზე, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს ფინანსური განათლება და დემოკრატიული საზოგადოების განვითარება, მათ შორის კორუფციის პრევენცია და საჯარო რესურსების ეფექტური მართვა. პრეზენტაციისთვის გამოიყენებენ „ფინედუს“ მასალებსა და სხვა მოძიებულ ინფორმაციას. ამ ეტაპის განმავლობაში პერიოდულად ვუმასპინძლებთ პარტნიორი სკოლების მოსწავლეებს, რათა ერთად წარვამართოთ ჯგუფური სამუშაოები. • **ეტაპი 5: შეფასება და რეფლექსია (2 კვირა).** პროექტის დასასრულს, პარტნიორი სკოლების მოსწავლეთა ჩართულობით მოხდება ჯგუფური პრეზენტაციების შეფასება, ჩატარდება დისკუსია განვლილ თემებზე და მოსწავლეები დაწერენ რეფლექსიურ ესეებს პროექტში მიღებული გამოცდილების შესახებ. • **პოდკასტების ციკლი** - ჩვენს სკოლას აქვს პოდკასტების შექმნის წარმატებული გამოცდილება. სამოქალაქო განათლების ფარგლებში 2024 წლიდან პერიოდულად ვწერთ პოდკასტებს (დასახელებით - “პოდკასტი N9) სხვადასხვა თემებზე ჩვენი და პარტნიორი სკოლების მოსწავლეების და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით (იხილეთ ლინქი - https://www.youtube.com/@samoqalaqoklubi/videos). შესაბამისად პროექტით გათვალისწინებულ თემატიკაზე ჩავწერთ და გამოვაქყენებთ მინიმუმ 5 პოდკასტს. ჩვენი უკვე არსებული გამოცდილება საშუალებას მოგვცემს ეფექტურად დავნერგოთ პოდკასტების შექმნის აქტივობა ამ პროექტშიც და მოსწავლეებს შევთავაზოთ სწავლისა და თვითგამოხატვის კიდევ ერთი საინტერესო ფორმატი.

	საერთო ჯამში პროექტი „აქტიური მოქალაქე და ფინანსური პასუხისმგებლობა“ მოიცავს თემების ფართო სპექტრს, რომლებიც უდიდესი ალბათობით კარგად იკვეთება „ფინედუს“ მიერ შემოთავაზებულ საგანმანათლებლო მასალებთან, რომელიც იქნება ფასდაუდებელი რესურსი ამ პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის და ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფინანსური წიგნიერების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.
შედეგი, რომელიც დადგება პროექტის/აქტივობის შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)*	**პროექტის შედეგად მოსალოდნელია:** • მოსწავლეებს გაუღრმავდებათ ცოდნა ფინანსური საკითხების, საჯარო ფინანსების მართვისა და გადასახადების შესახებ. • გაიზრდება მათი ცნობიერება გადასახადის გადამხდელის როლისა და მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივ კეთილდღეობაში. • განვითარდება კრიტიკული აზროვნების უნარი საჯარო ფინანსების განხილვისას და ანტიკორუფციული სენსიტიურობა. • მოსწავლეები შეძლებენ არგუმენტირებულად ისაუბრონ ფინანსური განათლების როლზე დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში. პროექტის წარმატება შეფასდება ჯგუფური პრეზენტაციების ხარისხით, რეფლექსიური ესეების შინაარსით, საკლასო დისკუსიებში მოსწავლეთა ჩართულობის დონით და პროექტის დასრულების შემდეგ ჩატარებული უკუკავშირის ანკეტებით.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/განგრძობითი პროექტის შემთხვევაში ინიცირებას	გამარჯვების შემთხვევაში პროექტის ინიცირებას ვგეგმავთ 2025 წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში (სექტემბერი).